წლიწადი მეცხრე.—№ 424

პარასკევი, 24 მაისს 1874.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით: ერთი წლით—ექვსი მან., ნახევარი წლით—სამი მან., სამი თვით—ერთი მან. და ხუთმეტი შაური, ერთი თვით—სამი აბაზი.

წერილები ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ:
Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „ДРОЭБА“.

**ხელის-მოწერა**

თფილისში: გაზეთის „დროების“ კანტორაში
ქუთაისში: ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

გაზეთი შემდეგი ადრესით უნდა დაიბარონ:
Въ Тифлисъ, въ контору газеты „ДРОЭБА“.

რედაქცია: ძველი ინსტიტუტის ქუჩაზედ. სოლომონ მირიმანოვის სახლებში.

კანტორა: ივანოვის ბიბლიოთეკაში, სასახლის მეიდანზე, შაბუროვის სახლებში.

## შ ი ნ ა ა რ ს ი:

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო: თფილისი, 24 მაისს 1874 წ.—წვრილი ამბები— „დროების“ კორრესპონდენცია: სუჯუნიდგან—ნუ თუ იმერეთში ხეირიანი შკოლა არ მოიპოვება—პასუხი—წიგნი რედაქტორთან—რ უ ს ე თ ი: წვრილი ამბები—უ ც ხ ო ქ ვ ე ყ ნ ე ბ ი: საფრანგეთი—წერილი პარიჟიდგან—ნ ა რ ე ვ ი.

ფ ე ლ ტ ო ნ ი: ხმა პროვინციიდამ, პროვინციალური მათვალიერებელისა.

# საქართველო

თფილისი, 24 მაისს 1874 წ.

ვინ არ დაგვეთანხმება, რომ ჩვენში რაც დრო მოდის წერა კითხვის ცოდნა თუ არ კლებულობს, ისრე საფუძლიანათ და მუყაითათ არ ვრცელდება, როგორც წინა დროებში. ჩვენი დედების საქმე უწინ ის იყო, რომ შვილები გაეზარდათ და შვილების დაგვარათ ესწავლებინათ მათთვის. ისინი საკმაოდ იყვნენ განვითარებული წერა კითხვაში, ლიტერატურასთან ახლოდ იყვნენ გაცნობილნი, ზოგიერთი კიდევაც გამოდიოდენ სალიტერატურო ასპარეზზედ, ამასთანავე იცოდენ სხვა და სხვა ხელსაქმარი, კერვა, ჭრა, ქსოვა და სხვ....

დედები ვალდებულად სთვლიდენ თავის თავს, ეს მათი ცოდნა შვილებისთვის გარდაეცათ, ნამეტურ ქალებისთვის. ოჯახი ჩვენი შკოლა იყო წინეთ და დედა—მასწავლებელი. დღეს? დღეს ჩვენს დედებს დაუკრეფიათ ხელი გულზე და, ნურას უკაცრავათ, იმათ ეს წმინდა ვალდებულება აღარ ახსოვთ. ისინი მოგახსენებენ: აი შკოლები, აი გიმნაზიები, აი მკერვლებიც, მქსოველებიც. ჩვენზედ უკეთ ასრულებენ ისინი ჩვენს ვალდებულებას, და სხვ... ამ გვარმა მოვლენამ, ჩვენდა საუბედუროთ, აი რა მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ჩვენი ყმაწვილები გაჭირვებით სწავლობენ წერა-კითხვას, მრავალი სრულებით რჩებიან უსწავლელნი. შკოლაში მხეცებივით შედიან, თითქო ისინი სადმე უდაბური ტყიდამ გამორეკილი იყვნენ. ეს არის ერთი მიზეზი, რომ ჩვენი ყმაწვილები ასრე ცუდათ მიდიოდენ სწავლის მოედანზე და სხვა და სხვა სენები გასჩენია ჩვენს გაჭირვებულ ქვეყანას.

ჩვენს ყმაწვილებს არც რუსული ენა ესმისთ კარგად, არც ქართული, არც ფრანცუზული. ყველაფერში ფეხს იმტვრევენ, ყველგან ეხეტებიან, მაგრამ კარგი მუშა, კარგი მცოდნე, კარგათ განვითარებული არსად სჩანს. რა ჯაფა, რა ჭაპან-წყვეტა გამოუვლიათ ამ ყმაწვილებს, რომელსაც თავისი მბრწყინვალე სიყმაწვილე შკოლაში, თითქო უდაბნოში, გაუტარებიათ და თავისი ნიჭითა და მეცადინეობით ცოტა რამე შეუსწავლიათ, ცოტა რამე შეუძენიათ!

ამ მოსაზრებამ ჩვენ მოგვიყვანა იმ დასკვნამდი, რომ უნდა ვიზლოთ ჩვენი დაკარგული, უნდა უშველოთ ჩვენს აწ-მყოს, თუ არა მომავალს მაინც. რასაკვირველია, ამის მალამო პირველი ის არის, რომ უნდა შესდგეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მაგრამ ამ საზოგადოებას ჩვენში ისრე ვიწრო პროგრამმა როდი უნდა ექმნის როგორც სხვა ქვეყნებში. ამ საზოგადოების ვალი მარტო ერთი, ან ორი შკოლის გახსნა და იმის კარგად წაყვანა კი არ არის; ამ საზოგადოების ვალი, ჩვენის აზრით, ის უნდა იყოს, რომ სახალხო, იაფი წიგნები გაავრცელონ, ე. ი. გაავრცელონ ხალხში და არა გამოსცენ მარტო, როგორც იქნება აქამდის შვრებოდნენ. ამ საქმეს ჩვენი საიმედო ყმაწვილების მაგიერ მესტამბეები შეუდგნენ. მაგრამ აი რა არ უნდა დაგვავიწყდეს: მესტამბეთა თითქმის მარტო მატერიალურ ინტერესი აქვთ სახეში. იმედია, რომ ისინი იმისთანა წიგნს არ გამოსცემენ, რომელიც ხალხში არ გავრცელდეს, მაგრამ ეს მათი მატერიალური ინტერესი ჩვენც ისრე გვავნებს, როგორც რუსეთში მოხდა. შემდეგში ჩვენ დიდი შრომა მოგვიწევს, რომ ეს ვნება მოვსპოთ სრულებით. ჯერ, მართალია, ცუდი არაფერი ითქმის იმ წიგნებზედ, რაც მესტამბეთ გამოსცეს, მაგრამ ჩვენის აზრით ეს შემდგომში ასრე არ იქნება.

მაგალითად რუსეთს ავიღებთ: ნახეთ რუსულ-გაზეთის „კვირის“ ამ წლის პირველი ნომერი და შეიტყობთ, რაც მოგვლის. კიდევ განვიმეორებ რაცა ვსთქვით და რაც ათასჯერ „დროებას“ უთქვამს, რომ ჩვენ წერა-კითხვის გამვრცელებელი საზოგადოება გვჭირიან და ამ საზოგადოების პირველი ვალდებულება იაფი და სასარგებლო წიგნების გავრცელებაა.

N.

## განცხადება

ისყიდება ხელ-ნაწერი მიმოვლა წმინდა ადგილებისა იერუსალიმისა და სხვა პალესტინისა და ეგვიპტის ქალაქებში და უდაბნოებში. მოგზაურობის აღწერა იწყება თფილისიდამვე. ვისაც ამ მოგზაურობის დაბეჭდა სურს, ხელნაწერის ყიდვა შეუძლიან თვითონ მოგზაურის ბალოი-ბეგ-ბასტამოვისიგან. არტემ ქეთხუდოვის სახლებში.

# ფელტონი

## ხმა პროვინციიდამ.

სწორეთ რომ მოსალოცავები ვართ ჩვენ, ზემოქართლელები, და მომეტებულად დიდსა და პატარა ლიახვებს შუა მცხოვრებნი, რომ ამ წლევანდელ საშინელ ზამთარს ცოცხალნი გადურჩით!... მართალია ზიანი დიდი მოგვიხდა: კვირაში ერთხელ მაინც მოგვდიოდა ხოლმე თავშიშველა და ბარნიჩაბით სასაფლაოსკენ გასეირნება, მაგრამ ამას ვინლა ინაღვლის, თქვე დალოცვილო!... ჩვენ ასე გვეგონა, ეს არის და ეს გათავდა ქვეყანაო; მოვიდა უკანასკნელი განსჯა სოფლისაო... ღმერთმა თქვენს მტერს მისცეს ის მდგომარეობა, რომელშიაც მე ჩავარდებოდი ხოლმე ამ უკანასკნელი სოფლის განსჯის წარმოდგენითა!... რას ბრძანებთ! ჯერ ჩემი და მრთლად ჩემი წოდების,—შემდეგ ჩვენი ადვოკატების, მომრიგებელი მსაჯულების, მოურავების (პრისტავების), რედაქტორების, გამომცემლების, ლიტერატორების და, ერთის სიტყვით, მთლად ჩვენი ქართველების ცოდვები რომ წარმომიდგებოდნენ, ისეთ ნაირს კანკალს მაწყებინებდა, ისეთ ნაირად ამიჩახჩახდებოდა ხოლმე კბილები, რომ ჩვენი რკინის გზის ჩახჩახი ამასთან შეურყეველ განსვენებათ გამოსჩნდებოდა... „არა ძმაო, არა“—სულ-დაცემული და იმედ-დაკარგული ვიტყოდი ხოლმე—„არა ჩვენ—ქართველები სულ დედაბუდიანათ მარცხენა გვერდზედ მოვექცევით“... და ეს ჩემი შიში უსაფუძვლო როდი გახლდათ,—ქრისტესშობის თვიდამ დაწყობილი მარტის გასულამდის მზე ხეირიანათ არ დაგვენახავს: ან კვირის კვირობამდის სულ განუწყვეტლად ჰსთოვდა, ან ქარი საშინელის წივილ-კივილით გვანგრევდა თავზედ ბანსაქცდა ერდოს და ან კიდევ შავად მოქუფრულშებული ცა ჩამოგვბღვეროდა ზევიდამ. ახლა ამას დაუმატეთ იმ დაუპატიჟებელი სტუმრის—სიკვდილის—ხშირი წვევაც!... ამ უკანასკნელმა უფრო მომეტებულად გაგვიჭირა საქმე. აღარაფერს არ გვინარჩუნებდა დაუთვალიერებლად. ჩვენი სადგომ-საწოლი სახლი ხომ სასტუმროთ გაიკეთა, მაგრამ არც ჩვენს თვალა-ბოსელს, საქათმეს და საღორეებს სტოვებდა უყურადღებოთ. გაწვრთნილი რევიზორივით ყველგან ჰყობდა თავის გამხმარ თავსა, ყველგან შეჰქონდა თავის ალმასივით მჭრელი ცელი. აი ამისგამო ბევრჯელ ხდებოდა, რომ ერთსა და იმავე ოჯახში ერთ დღე და ღამეს კვდებოდა ადამიანი, რამდენიმე საქონელი და შინაური ფრინველი. მაშ, ჩემო ბატონო, მკვდარს უნდოდა ზრუნვა, ქელეხი, ტაბლა და ყველა ამაზედ ჩვენ აღარა გვრჯიდა თვითონვე ერგულად ჰკიდებდა ხელსა. აი უმთავრესნი მიზეზნი, რომელნიც ჰბადავდნენ ჩემში ზემოთ მოხსენებულს შიშს, რომელნიც მაგონებდნენ, და ამ მოგონებით მათრთოლებდნენ, უკანასკნელ სოფლის განსჯას... და განა ესენი საკმარისნი არ არიან, რომ დაუფთხონ ანგელოსნი ჩვენი დროების ქართველს? ჩემის აზრით საკმარისია და ასედაც დამიფრთხეს.... მაგრამ ეხლა კი ისევ ძველებურად შემოგროვდნენ ეს გაფანტულნი კეთილნი სულნი. გაჰქრა შიში და მასთან მის მიზეზი—ზამთარი—ყოვლის თვის კუთვნილებითა. ბველირსა კვამლიან სახლებიდამ თავის გამოყოფა და ამწვანებულ ველ-მინდორზედ თავისუფლად ამოსუნთქვა. ქვალად გავიგონეთ მდინარეების ჩქრიალი, ფრინველთ გალობა-ჭიკჭიკი. დაგვენახვა მზე თვის ცხოველის სხივებით და მოშავბედებული ცის მაგიერ დაგვიწყო მხიარულად ცქერა მოწმენდილმა ლაჟვარდმა ცამ... ერთის სიტყვით—გაგვიცოცხლდა ბუნება, დასდგა გაზაფხული. დასდგა, დასდგა სანატრელი გაზაფხული. მაგრამ რა სამწუხაროა, როდესაც კაცი ხედავს ბუნების ცხოვრების ამგვარ ცვლილებას!!.. ჩვეულებრივი ხშირი ცვლილებით ახლდება და ახლდება მისი ცხოვრება... დაძველების შემდეგ—სიახლე; ძილის შემდეგ—გამოღვიძება; დაცემის შემდეგ—აღსდგენა—ყველა ესენი რიგ-რიგით მისდევენ ერთიერთმანერთს და ამგვარისავე წყობილებით შედიან ბუნების ცხოვრებაში; თავიანთ დაგვარად სცვლიან მას... გადიან და ხელახლად იწყობენ თვის მოძრაობას. ამაში მდგომარეობს ბუნების ცხოვრება... ამ დაუდგრომელს ბრუნვასა, ბრძოლასა და ცვლილებაში უნდა მდგომარეობდეს კაცის ცხოვრებაც; მაგრამ შეხედეთ, ჩემო ბატონო, ჩვენს ცხოვრებას,—ჩვენს დამყაყებულს, გაყინულს, დაცემულს ცხოვრებას! სად გამქრალა ჩვენში ძალა და გრძნობა კაცისა?! ვის მოუჯადოებია ჩვენი სიცოცხლე?!.. ნუ თუ ჩვენში მიბაძვის ნიჭიც დაკარგულა? ჩვენი საქმე, ჩვენი მოქმედება, ცხოვრება ამტკიცებს ამას... აი, შეხედეთ ამ ბრწყინვალე ქართველს, როგორის მხიარულებით და სიჩქარით მილილინებს ქალაქისკენ, რომ იქ რომელსამე კარაპეტ გასპარიჩს, ანუ ხახამ მოშეშას დაუგირავოს ანუ მიჰყიდოს ლოთობაში შეჭმული მამულიდამ დარჩენილი უკანასკნელი ვენახი; მიჰყიდოს, ჩათვრეს იქვე და ხელ-ჯიბე-ცარიელმა გამოსწიოს შინისკენ. ახლა შეხედეთ ამისავე გვერდზედ მცხოვრებელ ხელმომჭირნე სომეხს, როგორის ყაირათით ითმენს ულვინ-არაყობას, ბევრჯელ შიმშილ-სიცივეს! ადებს გროშს გროშზედ, რომ დაჭირების დროს არ მოუნდეს დაღრეჯილად და ყელ-გადაღანცულად აქა-იქა წანწალი; აგროვებს ფულებს, რომ შემდეგ, როგორც თვითონ ამბობს „სამსახური გაუწიოს“ მოხსენებულ ქართველებისთანეებს. შეხედეთ ამ გლეხსაც! ვინ იცის რამდენი წელიწადია, რაც ეს ასე ჩასცქერია და ჩაბღუნის მიწას! მიწა არ აძლევს მოსავალს, დღითი დღე ღარიბდება,-- წამსადაწამს იფლობა ყელთამდის ვალში და ის ვერ მოუხერხებია, რომ დაფიქრებით შეხედოს მის გვერდზედვე ამვლელ-ჩამვლელ წვრილმალ მოვაჭრე ურიას. შეხედეთ ამ ჩვენს განათლებულებსაც! ერთობის და კავშირის ნაცვლად, რომელნიც შეადგენენ ამათ შორისვე მცხოვრებელთ მოსულ ხალხების უმთავრესთ თვისებათ, ამათ მაგრად მოკუმშული მუშტები მიუშვერიათ ერთმანერთისთვის კბილებში. ერთის სიტყვით კეთილისადმი მიბაძვის ნიჭი გამქრალა ჩვენში.

ნაცვლად ამისა ჩვენი დროების ქართველს შეუძინია ორი ძვირფისი სამკაული, ორი მშვენიერი თვისება:—ერთი ამ თვისებათაგანი ეკუთვნის მთლად ჩვენს ხალხს—ეს გახლავთ ზნეობის დაცემა და ხასიათის დაწვრილება და მეორე უფრო საკუთრივ ჩვენს განათლებულად წოდებულს საზოგადოებას. ეს—უმსგავსი, უგუნური თავისმოყვარეობა. გაადევნეთ თვალი და მიაქციეთ ყურადღება ამ ორთა ნაწილთა მოქმედებას, ცხოვრებას—მაშინ დაინახავთ, რა სამწუხარო სურათია ჩვენს აწმყოსა და მომავალზედ გადაშლილი. აი, მიბრძარდებით პროვინციაში. თქვენ წინ ცხადდება პროვინციალური ცხოვრება ყოვლის თვის დიდებით და უსწორ-მასწორობით. ეს ბრძანდება თავადი, ეს აზნაური და აი ეს სულიერი მამა მღვდელი გახლავთ. უცქირეთ და

## წვრილი ამბები

— „ტფილისის მოამბე" გვაცნობებს, რომ უფ. ზერსევანოვს, რერბერგს და სხვათა შეუდგენიათ ტფილისში მომხმარებელი საზოგადოება, რომელიც კახური ღვინის სარდაფების გახსნას აპირებს. საზოგადოების წევრებს სურთ, რომ კარგი და იაფი ღვინოები ექნესთ სახარჯოდ. ამას გარდა ეს ამხანაგობა ჰფიქრობს გამოიძიოს და გაავრცელოს ვაჭრობაში ღვინის დიდხანს შენახვის საშუალება. როცა ეს საზოგადოება საკმაო სერმიას შეჰკრებს, მაშინ ის ვენახების ყიდვასაც აპირებს, რომ თვითონვე ღვინის კეთებას შეუდგეს. ამ ახალი საზოგადოების წესდება მისი უმაღლესობისაგან დამტკიცებას კიდეც ღირსებია.

— კახეთიდამ „სასოფლო გაზეთსაც" ცუდი ამბები მოსვლია. იქ თურმე საშინელი გვალვაა, ასე რომ ნახნავ-ნათესი სულ გადაუხმია. მიწა ხელმეორედ დაუხნავთ და შიმშილის შესამსუბუქებლად ფეტვისა და სიმინდის თესვას შესდგომიან. მაგრამ რაც უნდა ბევრი მოვიდეს ფეტვი და სიმინდი შიმშილს მაინც ვერ ასცილდება კახეთი. ამიტომაც „სასოფლო გაზეთი" ამბობს, რომ ვისაც ამისთანა მდგომარეობაში მცხოვრებლების შეწევნა სურთ, ეხლავე თავდარიგს უნდა შეუდგნენ, თორემ როცა შიმშილი ქვეყანას მოედება მაშინ თითო ბისტობით შესაწევარის მოკრეფა ბევრს ვერას უშველისო.

— „სასოფლო გაზეთს" შეუტყვია, რომ ქვემო ავჭალაში შკოლის გახსნას აპირებენო. ადგილი საშკოლო სახლისათვის აურჩევიათ და მალე შენობის აგებასაც დაიწყებენო. ამ სახლის ასაშენებელი ფული და ადგილი თადეოზ ბურამიშვილს შეუწირავს.

— გამოვიდა „საახალწლო ხუმრობა" აკ. წერეთლისა. ისყიდება: ტფილისში ივანოვის ბიბლიოთეკაში, ხელაძის სტამბაში. ქუთაისს გაიგზავნება გასასყიდათ ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში. ფასი ხუთი შაურია.

აი ამ წიგნის შინაარსი: „ახალ წლის მოლოცვა—ძველი წლის ეპისტოლე ახალწლისადმი—თხოვნა გლეხებისა ახალ-წლისადმი—გლეხური სიმღერა—სიტყვა თქმული მთელი ხალხისაგან ახალწლისადმი—ახალწლისადმი მეკენჭეებისაგან მოხსენება—სურათები (მოქმედნი: უგუნურობა და ჯინი, კუბოს-მზიდველები, ვარსკვლავთ-მრიცხველი, მეკენჭეები, მობაიათე ყიზილბაში)—სიტყვის დასკვნა ავტორისაგან—მცირეოდენი საყვედური.

— გაზეთი „კავკაზი" № 56-ის მოწინავე სტატიაში წრევანდელ პუბლიკურ ლექციებზედ ლაპარაკობს და გამოსთქვამს თავისს უგულითადეს სურვილს, რომ შემდეგისათვის ლექციების კითხვას კიდევ უფრო დიდი წარმატება მიეცეს. იმასა სურს, რომ ტფილისში შესდგეს მკვიდრი წრე, რომელიც ყოველწლივ ამგვარი ლექციების თანდისდან უფრო კარგად გაწყობას სცდილობდეს და თავისი ღვაწლი დააგვირგვინოს სახალხო ლექციების გამართვითა. ეს სურვილი სწორედ მოსაწონია და თანაგრძნობაში სხვებს უკან არც ჩვენ ჩამოვრჩებით. მაგრამ ძალიან კი გვეშინიან, რომ სახალხო ლექციების კითხვამ ერთის „ტფილისის წრისაგან" მიწვეული მეცნიერის სიტყვები არ მოგვაგონოს: ვისაც ჩემი საგნის რამე გაეგება, იმას ახალს ვერაფერს ვეტყვი და ვისაც არაფერი ესმის, იმას ვერაფერს გავაგებინებ, რადგანაც დროება და სხვა გარემოება ნებას არ მაძლევსო. მართლა, რა ენაზედ უნდა წაიკითხოს აქ კაცმა სახალხო ლექციები, რუსულზედ, თუ ქართულზედ? ტფილისში საკუთრად რუსეთის გლეხობა არ არის, ჩინოვნიკობას სახალხო ლექციები არ სჭირია და თუ რუსულად კითხვა გაიმართა, რას გაიგებს „მაია" „თვაიას" მცოდნე ტფილისის ხალხი?! მაშინ მკითხველმა რომ უთხრას ხალხს, მე თქვენი ენა არ ვიცი და თქვენ ჩემი ენა ისე ცუდათ იცით, რომ ვერაფერს გაგაგებინებთო, ხომ სიცილს ველარავინ შეიკავებს!

## „დროების" კორრესპონდენცია

სუჯუნა, 25 აპრილს

მე დარწმუნებული ვარ, რომ უმეტეს ნაწილს ჩვენი მკითხველებისას არ ეცოდინება, რა არის სუჯუნა. ეს ერთი პატარა დაბაა, რომელიც მდებარებს თოთხმეტ თუ თუთხმეტ ვერსზედ ახალი სენაკიდგან აღმოსავლეთ-სამხრეთით. აქ სამოცდა ათი (არც ნაკლე და არც მეტი) დუქანია და ერთი სახალხო შკოლაც არის. აი სუჯუნა ეს გახლავს...

ახლა მსურს გავაცნო ჩემი მკითხველ-მსმენელი იმ მშვენიერ და მოსაწონ ამბავს, რომელიც იყო სუჯუნას 23 აპრილს. აქ გამოჩნდა ერთი კეთილის მოყვარე კაცი, რომელმანაც განიძრახა აქ თეატრალური წარმოდგენის გაწყობა აქაური სახალხო შკოლის სასარგებლოთ. ეს კაცი არის უფ. ალექსანდრე ფილიპეს ძე იოსელიანი. ეს განძრახვა კეთილათ აუსრულდა უფ. იოსელიანს. ამ საქმეში დიდი შემოწყობა გამოაჩინა უფ. დ. იოსელიანმაც.

გათავდა რვა საათი, შეიკრიბა მაყურებლები და დაიწყო მოქმედება. ამ ღამეს ორი კომედიას ადგენდნენ: „ბედნიერს ქორწილს", ცხვედაძის თხუზულებას და „ქმრები გავაბით მახეში," მეიფარიანისას. მაგრამ რადგანაც ეს თხზულებები როგორც უნდა ისეთები არ არიან, და ამას გარდა რადგანაც აკტიორებიც ზოგნი გამოუცდელნი იყვნენ და ზოგნი მოუმზადებელნი, ამის გამო ამ წარმოდგენას სიცხოველე მოაკლდა. მაგრამ ეს სათქმელი არ არის. ამის გასწორება ადვილია. საქმე ის არის გავიგოთ, როგორი თვალით უყურებს საზოგადოება თეატრს, ე. ი. არის, თუ არა, ჩვენ ხალხში სურვილი ამაზედ. ამის გაგებაც ადვილია. ამას გვაჩვენებს თვით ხალხის რიცხვი, რომელიც იყო თეატრში. თეატრის სახლი, რომელსაც სამოცი საჟენი ირგვლივ ქონდა, ისე იყო გატენილი ხალხით, რომ სიმრავლის გამო დაჯდომას ვერ ახერხებდნენ; ამას გარდა მეორე დღისთვისაც მოითხოვეს წარმოდგენა, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო ველარ მოხდა.

ამ გვარი წარმოდგენები ხშირად შეიძლება იქმნეს ხოლმე იმერეთში და სამეგრელოში, და იმედია დიდ სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას. ამისთვის საჭიროა გამოჩნდეს ისეთი გულ-კეთილი კაცი, რომელმაც ამას ხელი გაუწყოს, როგორც რიგია, ე. ი. შეაგროვოს ტრუპპა და მოგზა-

---

დასტკბით ამათ ცხოვრების სურათით: ერთის მხრივ—უგუნური ამაყობა, კრილოვის ბატობა, მოძმის დაუნდობრობა, გლეჯა ჩაგრულთა და ულონოთა და სხვ.; მეორეს მხრივ—განუწყვეტელი კინტოური ცხოვრება: უსაქმოდ აქა-იქა ხეტიალი, ლოთობა, პაქარნობა და სხვ.; მესამეს მხრით... მოვალეობის სრული დავიწყება და ამისგამო მრავალი ამის წინააღმდეგი მოქმედება: ერთმანერთის ჯგლეჯა-ბეზღება, ლოთობა, შეუწყნარებლობა ქვრივთა, საწყალთა, ობოლთა და სხვ. ქრთამობა, ქვეყნიერი განცხრომისადმი ლტოლვილება... ერთმანერთს და სხვათაშორის განუწყვეტელი შფოთის ატეხა და სხვ. და სხვ. *) ყველა ესენი უცხოთ ახამებენ თავიანთ მხვედრს ალაგს ჩვენი ცხოვრების სურათზედ. ჩაიხედეთ ახლა ძირსაც!.. ეს მცოცვარა სულდგმულნი არიან ჩვენი გლეხნი; საკვირველია!.. რამ გააქრო ამათში კაცური გრძნობა და ძალა?! რამ დასცა ზნეობით, გონებით, თუ ხორციელად ესენი ამგვარ შეუწყალებლად?! ნუ თუ ესენი იმ გლეხთ შთამამავალნი არიან, რომელნიც ვახტანგ-გორგ-ასლანს ინდოეთში მისდევდნენ? რომელნიც ერთ დროს ამაყად უკიოდნენ თვის ბატონს: გაგვიძეხ წინ, ბატონო, და გავლეწოთ მტერი?.:. რომელმა მიზეზმა დაჰბადა ეს უბედური შედეგი? ბაუნათლებლობამ?.. მაგრამ ჩვენი მამა-პაპანი რომ უფრო გაუნათლებელი ყოფილან და ამგვარ იმედ დაკარგულნი და სულით დაცემულნი კი არა!.. მაშ რისგან? ამაზედ თქვენს თავს თქვენვე მიეცით, მკითხველო, პასუხი. მხოლოდ დაფიქრებით კი მიიხედ-მოიხედე თქვენს გარშემო.. მე კი ამ კითხვაზედ ხელაღებული ისევ მიუბრუნდები დასასრულებელ სურათს.

ეს გახლდათ, ჩემო ბატონო, პროვინცია. ახლა ჩაისეირნეთ ჩვენს ქალაქებში, სადაც უფრო განათლების სული ტრიალებს, სადაც მომეტებულად სუფევს ჩვენი განათლებულად წოდებული საზოგადოება და ყვავილი ამ საზოგადოებისა—საქართველოს ახალი თაობა. ჩაბრძანდით და, ვსთქვათ, დაიწყეთ აქა იქა სიარული. აი შემოგხვდათ თქვენ მოკლე კოხტა პალტოში გამოწყობილი ქართველი, მიხვალთ მასთან და დაიწყებთ მასთან ლაპარაკს.. რა მშვენიერ აზრებს ბრძანებს!! რა სწავლას ჰქადაგებს!! ღმერთო, გაგინათლდებათ გული ამის სმენით. „ხალხს უნდა შევეწიოთო, განათლება გავავრცელოთ მასშიო, ჩვენი ვალი არის, რომ მათ ხეირიანი შკოლები ჰქონდეთო და სხვ." ბრძანებს ეს. თქვენ ისმენთ ამას და სიხარულით გითრთოლდებათ გული. მაგრამ მოითმინეთ; დააცქერდით მაგ ვაჟბატონს კარგა სახეზედ!. მგ ის არა ბრძანებდა, რომელსაც ერთი მანეთიც ვერ გაუმეტებია საზოგადო საქმისთვის!. რომელსაც მხოლოდ მკვახე-მკვახე ფრაზების სროლაში წასვლია ჭკუა და გონება, რომლისთვისაც სიტყვა და საქმე ისე შორ-შორს სდგანან, როგორათაც ცა დედა-მიწაზედ?! დიახ! მგ ის გახლავთ! და დაგაყარათ ის ფრაზები მისთვის, ჩემო ბატონო, რომ შენ მასზედ კარგი ილაპარაკო, ყველგან აქო და საქართველოს დედა-ბოძათ აღიდო... მისთვის, რომ შენ მას დაემორჩილო, მოწიწებით დაუწყო ცქერა—მისთვის, მოკლე სიტყვით,—რომ მას დაუკმაყოფილო უმსგავსი და წვრილმანი თავის-მოყვარეობა.

აბა ახლა მოისმინეთ ამ ახალგაზდა განათლებულის ლაპარაკი: „უნდა შევგროვდეთ რამდენიმე კაცი ერთათ, გამოვილოთ ფული, ანუ გამოვიგონოთ სხვა რამე წყარო, საიდამაც შეიძლებოდეს ფულის შოვნა და ამ ფულით დავეხმაროთ ჩვენს ღარიბ საზოგადოებასო, გრძნობით და მჭერმეტყველებით ჰქადაგებს ეს. მაგრამ ნუ ერწმუნებით მაგას! ნუ ანდობთ გროშსაც!. სწორეთ ეგ იყო გუშინწინ რომ საზოგადო ფულები გადაყლაპა და „ატკაზი" ჰკრა; რომელსაც ძიელ უყვარს თავის შამოსავალზე მომეტებულზედ ცხოვრება. მაშ, ჩემო ხემწიფევ, მაგას უნდა კარგი ძვირფასი ტანისამოსი; უნდა მისთვის, რომ კოხტად წარსდგეს წინაშე თავის დულცინეისა. თუ ეს ასე არა ქმნა, ხომ შერცხვება თავის გომბიო სატრფოსთან და შერცხვენა ხომ თავისმოყვარეობის დამცრობაა.

აგერ ეს ცილინდრიანიც... ღმერთო რა ანგელოსივით სახე სძევს! ამას უსათუოდ აზრებიც ანგელოზისა ექმნება. აბა მოუსმინეთ ვიღასაც ებაასება. „ერთობა და ძმური სიყვარული არიან უპირველესნი საჭიროებანი, რომ შეერთებულის ძალით დაიწყოს და შესრულდეს რომელიმე სასარგებლო საქმე. ძმობა და სიყვარული უნდა გავავრცელოთ ჩვენ შორის". მაგრამ ნუ გჯერა, ნუ გჯერა მაგისი ნურაფერი. ნაცნობებთა შორის პირველი შურის და უთანხმოების ჩამომგდები ეგ არის. დაბრძანდება, ჰქადაგებს, ლაპარაკობს და ბრალი მისი, ვინც წინააღმდეგი გაუხდება მაგას. „როგორ თუ მე არ მეთანხმებით, მე, მე—რომის შეუცდომელს პაპას, ახალი დროების სოლომან ბრძენს—თქვე მხეცებო, თქვე იდიოტებო თქვენა, კივის ხოლმე ეს ბატონი. წამოვიდა აქედამ და ვინ იცის რეებს არ გაავრცელებს გოგოჩურის ჭორაკობით დაუთანხმებელ პირზედ. რათ შერება ამისთანა საქმეს? მაშ, ამას ეჩურჩულება თავის ცალ-ფულიანი თავისმოყვარეობა.. და ამ ჩურჩულის წინააღმდეგ როგორ წავა. აჰა მიაქციეთ ყურადღება ამ პატიოსან ჩინოსან გვამსაც.. დახედეთ ესეც როგორ თანასწორობაზედ და ძმობაზედ ლაპარაკობს! ხა, ხა, ხა, გუშინ წინ ერთმა ბრიყვმა მაგას „თქვენო უგანათლებულესობავ"-ის მაგივრად „თქვენო კეთილშობილებავ" უთხრა და ოხ, ღმერთო! როგორ გაჯავრდა ამაზედ! როგორ ეწყინა ეს! ჯავრისაგან გუშინ არც სადილი და არც ვახშამი არ მიურთმევია ამას..

იცნობდეთ, გთხოვთ, ამ მყვირალა ხილულსაც... მაგრამ მე ვატყობ, რომ ქალაქური ცხოვრების აღწერა უფრო დიდს ალაგს იჭერს ამ პაწაწა სტატიაში, სინამ პროვინციალურისა, რაც არ შეშვენის ამის სათაურს. ამის გამო, თუმცა შეუსრულებლად, ვწყვეტავ აქ ამ სურათს და არც არის შესაძლებელი, რომ ამისთანა მოკლე სიტყვით აღიწეროს სრული სურათი ჩვენის ცხოვრებისა. მე ვცდიდი უსათუოდ ჩემს ღონეს და შეძლებას ამ სრული სურათის შესადგენად. მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ მკითხველო, რომ ამ ორიოდ სიტყვის გაბლაჭნაც ჩემთვის ძიელ გასაჭირი იყო. ბუნებისაგან, თუ რაღაც ჯანაბისაგან, შემეხორცა ტანზედ ერთი დიდი დავლეჯილი, დათვის ტყავებიდამ შეკერილი ქურქი.. როგორც შეხორცებული არც ზამთარში მშორდება ტანიდამ და არც ზაფხულში.. ამ ტყავს მომეტებულად სახლები აქვს გრძელი, რის გამოც ხელებს თითქმის ვერა ვხმარობ. წარმოიდგინეთ ახლა, ჩემო მკითხველო, ჩემი გაჭირვება, როდესაც დაწერა მინდა რისამე. ჯერ სულ წერის მცოდნე ძიელ ძვირია ამ ჩვენს მიარღნილ ალაგას და თუ ვინმე გამოსჩნდება ხოლმე, ისე განაზდება, ისე გაიძნელებს ხელში კალმის აღებასა, რომ უნებურად უნდა გაანებო თავი შენს საწერს. ოხ! ღმერთო, როდის იქნება მოვიშორო ეს უმსგავსი ტყავი!!..

პროვინციალური მათვალიერებელი.

1 მაისს 1874 წ.

*) რადგანაც მე მსურს ყველა ზემოხსენებულ წოდებებზედ ცალცალკე ვილაპარაკო შემდეგ როდისმე, ამისთვის აქ მხოლოდ საზოგადო აზრებს ვჯერდები.

ური თეატრები გამართოს. ესეთი კაცი გამოაჩენს ნამდვილს მამულის სიყვარულს და სამუდამოთ დაუვიწყარი დარჩება მისი სახელი ჩვენს მამულში.

ანთიმოზი.

---

## ნუ თუ იმერეთში ხეირიანი შკოლა არ მოიპოვება?

---

მოთმინება კარგი საქონელიაო, ამბობს ჩვენი ხალხის ძველი სიბრძნე. მართლა რომ ესეა, ამაში ყველანი დარწმუნებულნი უნდა იყვნენ. მაგრამ, რაც მოთმენი უნდა იყოს კაცი და რაც პატიოსანი, მაინც შეხვდება მას ისეთი ამბები, რომ მოთმინებას დააკარგვინებენ, აღებინებენ იარაღს და ბრძოლის ველზედ გამოიყვანენ თავის დასაცველათ.

ამ ნაირი მომთმენი, თუ არ ვცდები, ჩვენ სახალხო შკოლების მასწავლებლები ვართ. ჩვენ ათასჯერ მაინც გამოგვლანძღეს უსაფუძვლოთ. მაგრამ აქამდის ჩვენ ხმა არ გაგვიღია, ახლა კი უნებურათ უნდა გამოვიდეთ თავის დასაცველათ.

ჩვენი ყურადღება მიიქცია უფ. მჭედლიძის კორრესპონდენციამ „დროების“ № 416-ში, რომელშიაც ვხედავთ თავიდგან ბოლომდის ავტორისაგან საქმის უმეცრებას. ამ სტატიამ გამოგვიწვია უნებურათ, რომ სიმართლის მხარე დავიფაროთ, რამდენათაც შეგვეძლება. აი უფ. მჭედლიძე რას ამბობს: იმერეთში არც სახალხო შკოლებია და არც მასწავლებლები. ამ სამწუხარო ამბის მოსასპობლათ, ის გვირჩევს იმერეთში სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნას. ეს არის ავტორის პირველი და უკანასკნელი აზრი. უფ. მჭედლიძე ამბობს, ქართლში და კახეთში შკოლების საქმე კარგად მიდის და იმერეთში კი ღმერთმა შეინახოსო; მაგრამ მე შემიძლიან უდაოთ და უსიტყვოთ უპასუხო მას, რომ იმერეთში შკოლების საქმე უფრო კარგათ მიდის, ვინემ ქართლში და კახეთში. ამის დასამტკიცებლათ წარმოვადგენ ხონის, სენაკის, ათიოდ რაჭის, სუჯუნის, ქულაშის, და კიდ ორმოცამდის ისეთ შკოლებს და მასწავლებლებს, რომლების მსგავსს ერთსაც ვერ გვიჩვენებს უფ. მჭედლიძე, და უკეთუ იგი ამ გვარ შკოლებს და მასწავლებლებს ხუთამდის მაინც გვიჩვენებს იქ, (უმჯობესი თუ კი მოიძებნება, მაშინ ხომ გავმტყუნდით) მაშინ ჩვენ დავარქმევთ ჩვენს თავს ენატარტალას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი მას დაერქმევა ტრაბახა, ენატარტალა, და სხვა ამ გვარი სახელები.

ამ მოკლე ხანში უფ. ქუთაისის სახალხო შკოლების ინსპეკტორისგან გავიგე, რომ მას ამ ჟამად რევიზიის დროს ათასამდის კარგათ გაწრთვნილი და განვითარებული ყმაწვილები უნახავს ჩვენებურ შკოლებში. ესეც კარგა გვიმტკიცებს, რომ აქ მასწავლებლებიც ყოფილან და შკოლებიც. მართლაც, ამ ყმაწვილების მასწავლებლებთაგან ისეთები არიან, რომლებსაც საშუალი და ოთხ კლასიანი სასწავლებელი აქვსთ შესრულებული. აქ მაინც იტყვის უფ. მჭედლიძე, რომ მათ კანონიერი პედაგოგიური მომზადება არ მისცემიათ სასწავლებლებშიო და როგორ ასწავლონ არ იციანო. ამას თავი მივანებოთ, ერთი პედაგოგიური წიგნიც არ წაუკითხავთო. მაგრამ ერთი მინდა ვკითხო უფ. მჭედლიძეს, განა მარტო ჩვენშია ამისთანა მასწავლებლები? განა ვისაც პედაგოგიური მეცნიერება არ უსწავლია, იმას მასწავლებლობა არ შეუძლიან? განა უფ. მჭედლიძე დაამტკიცებს, რომ ჩვენ ერთი წიგნიც არ წაგვეკითხოს ჩვენი ხელობის შესახებ? ამ გვარი მასწავლებლები, როგორც აქაური, სხვა ქვეყნებშიაც არიან, ე. ი. იმისთანა მასწავლებლები, რომლებსაც კანონიერი პედაგოგიური მეცნიერება არ მიუღიათ; მაგრამ ამათ მაინც კარგათ მიყავთ თავისი დანიშნულება, ამისთვის რომ ამ დროში იწერებიან პედაგოგიური წიგნები, რომლებსაც ჰკითხულობენ ამგვარნი მასწავლებლები და ნაკლულოვანებას ისწორებენ. ამაზედ იტყვის უფალი მჭედლიძე, მაგეები ყველაფერი შეიძლებაო, მაგრამ ჩვენებურ სახალხო მასწავლებლებს, როგორც კი ვსწერ ჩემს სტატიაში, ერთი პედაგოგიური წიგნიც არ წაუკითხავსო და არც იციან, არის თუ არა ამ გვარი წიგნებიო. ეს მარტო უფ. მჭედლიძეს ჰგონია, მისთვის რომ იგი ამ მასწავლებლებს ვერ იცნობს, მან არ იცის, აქვსთ თუ არა ამათ პედაგოგიური წიგნები, ამისთვის რომ მჭედლიძე იზრდება სემინარიის კედლებშია, სადაც სხვა გარეშე ახალი ამბების შეტყობა და მაზედ ლაპარაკი აკრძალული აქვსთ მოსწავლეებს, და იქ მყოფმა კაცმა, საკვირველი არ არის, არ იცოდეს ამგვარი სოფლური ამბები. ამასთან უფ. მჭედლიძემ არც ის იცის, რა არის მასწავლებლების კრება (съѣздъ учителей), რომელიც იყო დ. ხონში წასრული წლის ენკენის თვეში. ამ კრებაზედ ყველა ჩვენმა მკითხველებმა შეიტყეს და კიდევაც ყველანი დაჯერებულნი იყვნენ (უფ. მჭედლიძის გარდა), რომ ჩვენებური შკოლების საქმე აწ კარგათ წავაო. მართლაც ეს იმედი თან და თან მართლდება. ამ გვარი კრება ყოველ წელიწადში იქნება და იმედია, რომ ჩვენებურს შკოლებს თან და თან წარმატება მიეცემათ. უფ. მჭედლიძე გვირჩევს იმერეთში სამასწავლებლო შკოლის გახსნას, რომელზედაც, უმისოთ და მის წინ, მოლაპარაკება ქონდა აქაურ მართებლობას, მაგრამ, რადგანაც ხაზინას საშუალება არ ქონდაო, არ მოხერხდა ამის შემდეგ ჩვენებურმა გლეხ-კაცობამ ყოველ წლობით ამ საქმისთვის ექვს-ექვსი შაური შესწირეს, მაგრამ არც ეს მოხდა, რადგანაც კანონის წინააღმდეგი შეიქნა. ესენი არაფერი არ სცოდნია უფ. მჭედლიძეს, თორემ რასაც ეხლა სწერს, არ დასწერდა, და არც გულს შეუწუხებდა მკითხველებს.

ანთიმოზი.

---

## პასუხი

„დროების“ № 422-ში დაბეჭდილს უფ. რედაქტორთან წერილზედ.

ცქრიალა ბჭყალაძე, მისდა საუბედუროთ, ისე შეურყევია ჩემს „ორიოდე სიტყვას“ მის კორრესპონდენციაზე, რომ სრულებით გზა და კვალი დაჰბნევია და უსაფუძვლო ჰაზრებით და ულოღიკოთ დაუწერია ეს წერილი. ამ წერილის დაწვრილებითს გარკვევას მე მივანდობ თფილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის და სასულიერო სემინარიის მასწავლებლებსდა „დროების“ მკითხველებს: პირველებმა უნდა დაუმტკიცონ ინსტიტუტის სარგებლობა, მეორეებმა—ის, რომ სტუდენტებს და მეორე რაზრიადელებს, ევროპაში წაუსვლელათაც, თამამად შეუძლიანთ ოთხ-კლასიან სასულიერო შკოლებში მასწავლებლად ყოფნა, მესამენი კი კარგათ დააკვირდენ ამ წერილის აზრებს და ლოღიკას და კმარა რასაც ამაზე იტყვიან... გარნა ჩემის სიმართლის და ბჭყალაძის ბავშური მსჯელობის შესახებ ვამბობ შემდგომს:

1.) თუ, დასტურ, სამმართველოს სჯაში თავს-მჯდომარეს, ზედამხედველს, რამე წერილობითი წინადადება, შესახებ მასწავლებლების ევროპაში გაგზავნისა, ჩემთვის უჩვენებია და წაუკითხავს, და სიტყვიერათ არ გამოუცხადებია; თუ ამ წინადადებაში რუსეთს მასწავლებლების გაგზავნაზედ სიტყვა ყოფილა; თუ მაშინვე ჟურნალური დადგინება მომხდარა და მე ხელი მომიწერია; თუ ეს დადგინება მეორე კვირას, სახლში, არ მომსვლია და ჩემი აზრი არ დამიწერია; თუ კასსასა და ხორაგის მაგაზინზე ხსენება ყოფილა, რომელნიც დღესაც არსად სჩანან, და ვერც მოესწრობა ბჭყალაძე ამის შესრულებას; ეს ყველა მიმინდვია ბჭყალაძისგანვე თავის წერილში დანიშნულ პირთა სვინიდისისა და პატიოსნებისთვის, რომელთა ვალი აქვთ ნაგაცხადონ.

2.) ბავშურის მოსაზრებით გამოჰყავს ბჭყალაძეს უვარგისობა ჩემოხსენებულის ინსტიტუტის სწავლისა და ის კი არ შეუტყვია, რომ იქ ამზადებენ ყმაწვილებს ოთხ-კლასიან შკოლებისათვის მასწავლებლად; რომ სხვა და სხვა სასწავლებლებიდგან მიდიან იქ მასწავლებლები, პრაკტიკურად საგნების და მეთოდის შესწავლისათვის, და გამოაქვთ მოწმობა, რითაც სრული ნება ეძლევათ მასწავლებლად ყოფნისა; რომ თვით მყოფი ქუთ. სას. სასწავლებლის ზედამხედველი, განსვენებული ქალანდარიშვილი, იყო იმ ინსტიტუტში, სიდგან კარგი სარგებლობა გამოიტანა და უფრო კარგათ წაიყვანა სასწავლებლის საქმე. და, ბოლოს, მოჰყავს ერთი ყმაწვილი, იმ ინსტიტუტში მყოფი, და მით ჰსკვნის ინსტიტუტის უვარგისობას, გარნა ბჭყალაძე არ ასახელებს კი, თუ ვინ არის ის?

3.) გამოუცხადებთ ბჭყალაძეს, რომ ის, თუ მასწავლებელთაგანია, და მაინცა და მაინც ჰსურს ევროპაში ქეიფი და სეირნობა, როგორც ორთაჭალას და ვერაზე მოინდომა, მის დღეში არ ეღირსება იქ, საეკკლესიო ხაზინის და სამღვდელოების ხარჯით, წასვლას; და თუ არ დაუშლია, შეუძლიან თანამდებობა დასტოვოს, და, თავის ჯიბით, თუნდა ამერიკაშიაც მიბძანდეს. ამით ვათავებ ცქრიალა ბჭყალაძესთან ლაპარაკს.

მღვდ. რ. გიგაუროვი.

ქუთაისი

16 მაისს 1874 წ.

---

## წერილი რედაქტორთან.

---

უფ. რედაქტორო, თქვენი პატიოსნების დასაცველად და ჩემი თავის გასამართლებლათაც გთხოვთ დაბეჭდოთ ჩემი სტატია შესახებ ქუთაისის და სამეგრელო სასულიერო მასწავლებლების კასის და ხორაგეული მაგაზინისა ისე, როგორათაც მე გწერდით, და არა ისე, როგორათაც თქვენ ინებეთ მისი დაბეჭდა „დროების № 418-ში მით უმეტეს საჭიროა ამ ჟამად ზემოხსენებული ჩემი სტატიის დაბეჭდვა, რომ ერთი მხრით პუბლიკამ სწორეთ შეიტყოს ისა, თუ რას ვიწერებოდი მე შესახებ ქუთაისის და სამეგრელო სასულიერო შკოლათა მასწავლებლების კასსის და ხორაგეული მაგაზინისა, და მეორე მხრით საჭიროა იმიტომ, რომ „დროებას“ № 421-ში მონაწილეობის მიმღები პატივცემული ქუთაისელი კორრესპონდენტი დარწმუნდეს, რომ იმ წერილის სიცრუვის და უთავბოლობის მიზეზი მე კი არა ვყოფილვარ, მისი კორრესპონდენტი, არამედ იმას მიეცა იმ გვარი მიმართულება თქვენგნივ, და რა აზრით მოახდინეთ თქვენ ესა, ამის ახსნა მე არ შემიძლიან *) მე მხოლოთ ვტყვი იმას, რომ მომეტყ[illegible] მისი შენიშვნები იმ თქვენგან გადაკეთებულ სტატიაზედ ნამდვილნი არიან, გარდა უკანასკნელისა. უკანასკნელი შენიშვნა იმ პატივცემული ქუთაისელი კორრესპონდენტისა ეხება ამას. „სამეგრელოს სასწავლებელის მასწავლებლებიც კასსას იკეთებენო.“ „ეს კი მართალია (ამბობს ის პატივცემული კორრესპონდენტი), მაგრამ იმა პირობებით კი არა, როგორც ფქავს ის, არამედ უფრო თავიანთ მოთხოვნილებები უნდათ დააკმაყოფილონ გაჭირვების დროს.“ ეს უკანასკნელი შენიშვნა კი იმ პატივცემული ქუთაისელი კორრესპონდენტისა ვერ შემიძლიან მივიღო მართლად და შეუცდომელათ, რადგანაც ეს მისი შენიშნვა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლების კასსის და ხორაგეულ მაგაზინზე ჰგავს მკითხავების წინასწარმეტყველობასა, რომლებსაც ყოველი განათლებული კაცი შორს უვლის. აბა ერთი ვკითხამ მე იმ პატიოსან კაცს, რა იცოდა იმან, რომ სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები ვერ დააწესებდნენ კასსას და ხორაგეულ მაგაზინსაც იმ ჩემგნივ მოხსენებულ მიზნებით? აბა მაშ ეხლა ქუთაისში ყოველ სამეგრელო სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლების მცნობ კაცს ჰკითხეთ, თუ არ დაგარწმუნოთ იმანა, რომ იმათ დააწესეს ჯერ ჯერობით კასსა ორის განყოფილებით, ერთი საზოგადო საქმის დასახმარებლათ და მეორე—თავიანთ თავისთვის. ხოლო რაც შეეხება ხორაგეულის მაგაზინის დაწესებასა, იმედია ისიც ამ ცოტას ხანში მოხდეს.

ცქრიალა ბჭყალაძე.

ქუთაისი, 12 მაისს 1874 წ.

---

# რუსეთი

---

— „პეტერბურღის უწყებები“ გვატყობინებენ, რომ იქაური ქალების სამასწავლებლო სემინარიის წესდება დაუმტკიცებიათ და თვითონ სემინარია უნდა გაიხსნას მომავალს აგვისტოში.

— ერთს კალუგის გუბერნიის სოფელში ერთი ორმოცდა ორი წლის ქალი ოცი წელიწადია თურმე ყმაწვილებს კითხვა-წერას, საღვთო წერილს და არითმეტიკას ასწავლიდა. ამ ნახევარის სიცოცხლის განმავლობაში სამასი ყმაწვილისათვის მაინც უსწავლებია ეს საგნები და ქირად თვეში თითოეულისაგან ათ შაურს იღებდა თურმე. ამ შრომითა და ქირით ეს ქალი ინახავდა თავის თავს და მიხრწნილს ოთხმოცდა სამის წლის მამას. რუსული გაზეთი ამბობს, რომ ჯილდოს მაგიერ ამ ხანგრძლივის შრომისათვის ეს ღირსეული დედა-კაცი მოულოდნელს დევნულებას მოესწრო. სტანოვოი პრისტავმა, ადგილობრივი მთავრობის განკარგულებით, აღუკრძალა ამ ქალს სწავლება, რადგანაც იმას ეკზამენი არ დაუჭერია და სწავლების ნება არ მისცემია მთავრობისაგან და ამასთანავე სისხლის სამართალშიაც მისცეს. მთავრობის ნება დაურთველად სწავლებისათვის იმ ქალს ან ჯარიმას განუჩენენ და სწავლებას სამუდამოდ აღუკრძალევენ, ან არა და დროებით საპყრობილეში ჩასმენ და იქიდამ გამოსვლის შემდეგ ის დღიურს ლუკმასაც მოკლებული იქნება.

— პეტერბურღის ქალაქში კერძო ადვოკატების ანუ უფიცარი ვექილების ამხანაგობა სდგება თურმე. ამ საზოგადოების წესდების პროეკტი ეხლა დასამტკიცებელად არისო წარდგენილი.

---

*) უნდა მოავხსენოთ უფ. ბჭყალაძეს, რომ იმის კორრესპონდენციას ისეთი ფორმა ჰქონდა, რომ დაბეჭდა ყოვლად შეუძლებელი იყო. მხლაც ამავე მიზეზისა გამო ვერ ვბეჭდავთ. და იმ საჩივარზედ, ვითომც ჩვენ ბჭყალაძის სიტყვები გადაგვესხვაფერებინოს და ამითი ამბავიც სხვა ნაირად გამოგვეხატოს, აი რას ვიტყვით: რა ამისთანა ღრმა აზროვანი უნდა ყოფილიყო უფ. ბჭყალაძის კორრესპონდენცია, რომ ჩვენ ვერ გაგვეგო? და ან რა ამისთანა ღრმად განსახჯელი საგანი იყო კასსისა და მაგაზინის დაწესება, რომ იმაზედ გაუგებელი სიტყვები მოეწერა უფ. ბჭყალაძეს?

რედ.

ამ საზოგადოების სურვილია, რომ უხეირო და უსინიდისო ადვოკატების რიცხვი შეამციროს და იმოქმედოს როგორც თავის წევრების ისე კლიენტების სასარგებლოდ. საზოგადოება მიიღებს თავის წევრად მხოლოდ კეთილ-საიმედო ვექილს. არც ერთს წევრს არ შეუძლიან, რომ ამხანაგობის დაუკითხავად რამე საქმე იკისროს. თითოეული წევრის სასყიდლისაგან მესამედი სულადი თავნის შესადგენად უნდა გადიდეან, სანამდის აქედამ იმდენი არ შესდგება, რომ თითოეულს წევრზედ ხუთასი მანეთი ითვლებოდეს. ორი მესამედის ათი ნაასალი გადიდება თავის წევრების საპენსიო და გაქირებაში შესაწევარი თავნის შესადგენად; და დანარჩენი თანასწორედ უნდა გაიყონ ამხანაგობის წევრებმა. სულადი თავნი დანიშნულია კლიენტების საზღვევრად იმ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა ამხანაგობამ, საქმის გარემოებისგამო, ბე ან მთელი სასყიდელი ისევ კლიენტს დაუბრუნა, ან თუ ცუდად საქმის წაყვანისათვის კლიენტმა კანონის ძალით ფულის გადახდევინება მოინება. ყოველი წევრი, რომელსაც ამხანაგობა გამოცდილებით კეთილ-საიმედოთ არ იცნობს, გამოირიცხება ამხანაგობისაგან.

მჭვი არ არის, რომ ეს ვექილების ამხანაგობა ცოტათი მაინც შეამცირებს იმ მცარცველების რიცხვს, რომელნიც მარტო ჩვენ არ გვაწუხებენ; და ჩვენ, რასაკვირველია, უნდა გვსურვებოდა ამ ნაირი ამხანაგობის ჩვენში შედგენა, თუ რომ აქ ვექილები სარჩევად გვყავდეს, და ადვოკატებისაგან უმეტესობა უხეირო და მცარცველი არ იყოს. ეხლა კი ღმერთმა ნუ ქნას, რომ ჩვენში ვექილების ამხანაგობა შემდგარიყოს, თორემ შენი მტერი! უხეირო და უსინიდისო წევრების გამორიცხვის მაგიერ, ისინი სულ სხვა კაცებს გამორიცხვიდნენ თავის საზოგადოებისაგან, სასყიდლის შემამცირებელი შეჯიბრება მცარცველ ვექილებს შორის განჰქრებოდა და ძირს გაისხამდა კიდევ უფრო შეუპოვარი და უძლეველი ცარცვა.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი.

— ბროლის სამინისტრო საოცარად დამარცხებულა ნაციონალურ კრებაში. უკანასკნელ კენჭის ყრის დროს პალატაში ბროლის 64 შავი კენჭი მოსვლია თეთრზედ გადამეტებული. გამოაცხადეს თუ არა კენჭის ყრის რეზულტატი, ბროლი და მისი ამხანაგები მაშინვე წავიდნენ პრეზიდენტთან და სამსახურიდგან გამოსვლის ნება ითხოვეს. პრეზიდენტმა მიიღო თხოვნა და იმ წამსვე ახალი კაბინეტის შედგენას შეუდგა.

ამ ბრძოლაში 310 რესპუბლიკელი დეპუტატი 53 უკიდურესი ლეგიტიმისტი და 17 ბონაპარტისტი ყოფილან შეკავშირებული ბროლის ჩამოსაგდებათ.

საზოგადოთ საქმეები ისე დახლართულია ეხლა საფრანგეთში, ამბობენ გაზეთები, რომ ნაციონალური კრების დათხოვნის და ახალი კანონმდებელი კრების მოწოდების მეტი ღონე არა არის რაო.

— ტიერის გაზეთში „Bien Public“ დაბეჭდილია სტატია, რომელიც თითქოს წინანდელი რესპუბლიკის პრეზიდენტის მანიფესტი იყოსო: „ბროლის სამინისტრო დაემხო. მასთან დაემხო ერთიანად და სამუდამოდ მთელი პოლიტიკური სისტემა. ეს პოლიტიკა საზოგადო აზრისაგან ეხლა გმობილია და მასთან ნაციონალური კრების უმრავლესობისაგანაც. მუნიციპალური კანონის შეწევნით მან დაარღვია მუნიციპალურივე თავისუფლება, პოლიტიკური კენჭის ყრის შემწეობით—საზოგადო კენჭის ყრის უფლება და მეორე პალატის დაარსებით იმას სურდა დაედგინა ისეთი წყობილება, რომელიც ემუქრებოდა ნიადაგ ხალხის თავისუფლების მოსპობას და ჩუმათ მოამზადებდა რესპუბლიკის დამხობას მონარხიის სასარგებლოთ. ამნაირი შემთხვევის შედეგები საშინელია და იმათი აცილება ისე საძნელოა, როგორც საზოგადოების აზრისა, რომელიც სჯის განზრახულ შეცდომათა. უ. ბროლის დაეცა ის ლოღიკა, რომელსაც მოკავშირეთ ჰყავდა მთელი ნაცია, რესპუბლიკური უფლება მონარხიულ ინტრიგების წინააღმდეგ და ამ გვარი გარემოება რასაკვირველია დღეს თუ ხვალ უნდა გადაწყვეტილიყო. ე. ი. ნაციას უნდა გაემარჯვებინა სამინისტროზედ, და უფლებას—ინტრიგაზედ. ეს ასეც მოხდა ბროლის ძველი მოკავშირეთათვის, რომელნიც, როდესაც ნაფაქის განაწილების ჟამი დგება იფანტებიან, უსუსურობისათვის, რომელიც დაუბოლოებელი და შეურიგებელი ქიშპობის შედეგია, საშუალებათათვის, რომელნიც მათი მომგონის საწინააღმდეგო შეიქნენ და ხელახლავ მათი ხმარება დაულუპველად შეუძლებელია. ერთი მხოლოდ სამსჯავრო არსებობს: იმას ჰქვიან საფრანგეთი, არსებობს ერთი ძალა და ერთად ერთი კანონი—ორივეს ამას საფრანგეთი ეწოდება. მარტო იქ უნდა ვეძიებდეთ ყველანი გასამართლებას და შველას.“

პარიჟი, 12 მაისს 1874 წ.

ქრეოლების დღესასწაულობა მონაობის მოსპობაზე—ლუი-ბლანის სიტყვა—1874 წლის სალონი—ჯვარცმული ქრისტე—იმპერატორის პრინცი.

წარსულ სამშაბათს პარიჟში მყოფთ საფრანგეთის კოლონიელებმა იდღესასწაულეს ის დღე, რა დღესაც მმართებლობამ იმათ ქვეყნებში მონაობა მოსპო. ვიქტორ შელშერს გარდა, რომლის თავგამოდებითაც გამოიცა 1848 წელს ბრძანება საფრანგეთის კოლონიებში მონაობის მოსპობისა, ამ მეჯლისზე ბევრი სხვა გამოჩენილი კაცები იყვნენ დაპატიჟებულნი და მათ შორის: ვიქტორ ჰიუგო, ლუი-ბლანი, გამბეტტა, ლედრუ როლლანი და სხვანი.

თვითონ ეს მეჯლისი ისეთს არაფერს არ წარმოადგენდა, რომელზედაც ბევრი ლაპარაკი ღირებოდა; მაგრამ ლუი ბლანმა წარმოთქვა აქ ისეთი სიტყვა, რომელმანც ბევრი ააყაყანა.

ლუი ბლანმა ჯერ ამ საგნის ისტორიულ მხარეზე ილაპარაკა; თქვა, რომ მონაობა ძველადგანვე არსობდაო, საბერძნეთში და რომში ბატონს სიკვდილის და სიცოცხლის უფლება ჰქონდა თავის მონაზედაო. არც ძველი ფილოსოფოსები და თითქმის არც ახალი აღთქმა მაინცა და მაინც არ ეწინააღმდეგებოდა ამ კაცობრიობის სასირცხო წყობილებასაო. შემდეგ მოკლეთ განიხილა თუ ამ უკანასკნელი ორი საუკუნის განმავალობაში როგორ გავრცელდა თან და თან აზრი ადამიანის თავისუფლებისა და დაუმოკიდებლობისა, და სხვა და სხვა ქვეყნებში როგორ მოსპეს ეს საძაგელი წესი. ბოლოს შეეხო პირ და პირ იმ საგანს, რომლის სადღესასწაულოდ ისინი შეკრებილი იყვნენ.

„საფრანგეთი და კაცობრიობა, განაგრძო ლუი ბლანმა, ვიქტორ შელშერს უნდა უმადლოდეს იმ კანონის გამოცემისათვის, რომელიც 5 მარტს 1848 წელს გამოვიდა და რომელიც შემდეგი მშვენიერი და თან უბრალო სიტყვებით იწყება: „მიიღებთ რა მხედველობაში, რომ საფრანგეთის ნიადაგზე მონაობას ალაგი არ უნდა ჰქონდეს ..“

„ამ სათნო საქმეს გარდა, 1848 წლის რევოლიუციამ დაადგინა მუქთი და საერო სწავლა, მოსპო სიკვდილით დასჯა, დააწესა საყოველთაო კენჭი და ვინ იცის, რამდენი სხვა სასარგებლო განკარგულება მოახდინა,—და ამის შემდეგ კიდევ ჩნდებიან ისეთი პირები, რომელნიც ამ რევოლიუციას და იმის მოთავეებს პატივით არ იხსენებენ!

„1848 წლის რევოლიუციამ სიცოცხლე მიანიჭა რამდენსამე ათასს ადამიანს; „სიცოცხლე მიანიჭა“—მეთქი—იმიტომ ვამბობ, რომ თავისუფლებას მოკლებული სიცოცხლე—სიცოცხლე არ არის!

„დიახ, უთავისუფლებოდ სიცოცხლე არ არის; ვისაც კაცობრიული უფლებები დაუკარგავს, ის ნამდვილი ცხოვრებით არ ცხოვრებს; მაგრამ რას მიქვიან მარტო უფლება, თუ იმითი ვერ ვისარგებლებ?

რათ უნდა დამბლათ დავარდნილ ავათმყოფს სეირნობისა და სიარულის უფლება, თუ ის ამ უფლებით თავის დღეში ვერ ისარგებლებს? რაში გამოადგება მუშა გლეხს თავისუფლება, თუ კი სამუშაოს ვერ იშოვნის, თუ მუდამ იმის შიშით უნდა ცახცახებდეს, რომ ხვალ ულუკმა-პუროთ და უსახლ-კაროთ არ დავრჩეთ?“

×

აი, ამ ალაგებმა ააყაყანა ამის წინათ აქაური გაზეთები. ბევრი იბაასეს, იყვირეს, ილაპარაკეს, ერთი ლანძღავდა ლუი ბლანს ამგვარი აზრების გამოთქმისთვის, მეორეს ცამდი აჰყავდა, და ბოლოს ეს მობეზრდათ. ამ დალოცვილ პარიჟში სამი დღის განმავალობაში ერთსა და იმავე საგანზე ვერ ილაპარაკებენ: ახალ-ახალიო, სულ ახალ-ახალიო!

×

ეს ახალიც მალე გამოჩნდა:

გამოფენა მხატვრობისა და ძეგლეულობისა, რომელსაც ფრანცუზები „1874 წლის სალონს“ ეძახიან.

ერთი კვირა მეტია, რაც ყოველ დღე აქაურ გაზეთებში უშველებელი, ოთხ-ოთხ სვეტიანი სტატიები იბეჭდება, რომელშიაც ამ სალონში გამოფენილ საგნებს არჩევენ.

სხვათა შორის, ამ სალონში საფრანგეთის თითქმის ყველა გამოჩენილი კაცების ან სურათები ან პატარა ბრონზის ძეგლებია გამოფენილი, მაგ. გამბეტტასი, ტიერის და სხვ.

მაგრამ ყველაზე შესანიშნავი სურათი ამ გამოფენაში ერთი ფრანცუზის—დიურანის—მხატვრობაა, ქრისტეს ჯვარცმა. იმაზე უნამდვილესი მხატვრობა, იმისთანა გასაშტერებელი მე სწორედ არა მინახავს რა: დგეხარ იმ დალოცვილისაგან დახატულის ტილოს წინ და შენ თვალებს არ უჯერი, ვერ წარმოგიდგენია, თუ ეს ნამდვილი ჯვარცმული კაცი არ არის.

ამბობენ, რომ ამ სურათის დასახატავათ დიურანმა მართლა ნამდვილი ადამიანის გვამი აცვა ჯვარსაო, ხუთმეტი დღის განმავალობაში ერთ ოთახში ამ ჯვარ-ცმული კაცის გვამს შესჩერებოდა და ისე ხატავდაო! ღმერთმა მშვიდობა მისცეს: კარგი მოთმინება სცოდნია.

×

პატარა ნაპოლეონის სურათმა აყალ-მაყალი ატეხა გაზეთებში. ზოგიერთები ამბობენ, რომ ეს სურათი სწორეთ ნამდვილ იმპერატორის პრინცს წარმოადგენს, შეხედეთ, რა მშვენიერი რამ არის, რა ჭკვიანური სახის გამომეტყველება აქვსო! ნეტავი იმ ხალხს, ვისაც ამისთანა ხელმწიფე ეყოლებაო.

მეორები იძახიან: ღმერთო ჩემო, რას ჰგავანებია ეს ყმაწვილი? ამისთანა სულელური პირის სახე, ამისთანა ბრიყული შეხედულება ჰქონდეს კაცს, და კიდევ ხელმწიფობას ეძებდეს? ეს ყმაწვილი სწორეთ ძაღლის ნათრევ კატას, ან კატის ნათრევ კნუტს ჰგავსო!

ყველაზე უფრო სასაცილო ის არის, რომ ამ გვარ სხვა და სხვა აზრებს ორი ბონაპარტიული გაზეთი ამბობს...

ს. მესხი

# ნარევი

— ბერლინის ქალაქში შეკრებილან ებრაელთ სასულიერო წოდების წარმომადგენელნი „მიცვალებულების დაწვის“ შემოღებაზედ მოსალაპარაკებლად. უმეტესობას გარდაუწყვეტია, რომ დასაფლავების მაგიერ ყოველი მიცვალებული უნდა დაიწვასო.

— პარიჟში გამოდის 283 სხვა და სხვა დღიური და კვირის გაზეთი. თითოეულ გაზეთზედ რომ ათი თანამშრომელი ვიანგარიშოთ, მთელს პარიჟში 3000 მეგაზეთე ლიტერატორი უნდა იყოს.

— ერთი იტალიელი მეცნიერი ანტონიო ფერრერო მიცვალებულების დამარხვის, ან დაწვის მაგიერ სულ სხვა გვარს განსვენებას გვირჩევს. იმას გამოუგონია მკვდრების გახმობა იმ ნაირად, რომ სხეული თავის სახეს არ შესცვლის და არც იმისი სუდარი და სხვა სამოსელი გაფუჭდება, ასე რომ ეს სხეულები სამსაჯულოს საქმის გამოკვლევისათვისაც გამოადგება თურმე.

— ერთს გერმანიელს (ვენის ქალაქში) მექანიკოსს ლუნკს ჰაერში მატარებელი ხომალდი გამოუგონია, რომელიც თურმე წყალშიაც გამოსადეგია. ხომალდს ამუშავებს ორთქლის ჩარხი. იმაში დაეტევაო რამდენიმე ასი კაცი. საათში ეს ხომალდი ორმოც ვერსტს გაივლის და ქარს ისე გაარღვევს თურმე როგორც ჩვეულებრივი ხომალდი მდინარეს.

— მთელს დედა მიწაზედ რაც გაზეთები იბეჭდება ყველაზედ უფრო ხნიერი „პეკინის გაზეთი“ ყოფილა, რომელსაც ჩინეთის მმართებლობა აბეჭდინებს პეკინის ქალაქში. წელს ამ გაზეთს ათასი წლის არსებობა უდღესასწაულებია. როგორც 874-ში ისე ეხლაც ყვითელ აბრეშუმის მატერიაზედ იბეჭდება თურმე.

— ვენის ქალაქის გამგეობაში შეუტანიათ ერთი წინადადება, რომლითაც თხოულობენ, რომ ყოველს გრძელ-კუდ-კაბიანს ქალს საზოგადოების სასეირნოდ დანიშნულს ალაგებზედ სიარული აღეკრძალოსთ. თუ ქალაქის გამგეობამ ეს წინადადება მიიღო, პარკები, ბაღები და სხვა სასეირნო ალაგები გაიწმინდებიან იმ მტვერისაგან, რომელიც ეხლა ვენის მცხოვრებლებს სულთქმას უჭირავს. ძალიან კარგი იქნებოდა, რომ წინადადების შემტანელებს გრძელ-კუდ-კაბიანი ქალებისათვის დილა დაეთმოთ. მაშინ ყოველ დილას ქუჩები და ხეივნები მშვენიერად დაიგვოდა.

| რკინ. გზა | დილა | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 8 | 18 | 8 | 17 | | | | |
| მცხეთა. . . | 9 | 18 | 10 | — | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . | 11 | 39 | 1 | 43 | 2 | 40 | 1 | 23 |
| სურამი . . | 1 | 52 | 4 | 30 | 3 | 92 | 2 | 18 |
| ბეჟათუბანი. | 3 | 45 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა. . | 6 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| ქუთაისი . . | 7 | 55 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 9 | 2 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკ. | 10 | 2 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 11 | 27 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 7 | 38 | | | | | | |
| ახალ-სენაკ. | 9 | 11 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია . | 10 | 12 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| ქუთაისი . . | 11 | 17 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 12 | 38 | | | 3 | 98 | 2 | 21 |
| ბეჟათუბანი . | 3 | 27 | დილა | | 5 | 33 | 2 | 96 |
| სურამი . . | 4 | 57 | 7 | 35 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . | 7 | 23 | 10 | 12 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . | 9 | 52 | 1 | 49 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 10 | 49 | 3 | 32 | 9 | 75 | 5 | 42 |

**ცეცხლის გემები**

ა) ფოთიდამ:
ოდესისკენ—კვირა საღამ. 6 საათ
სტამბოლს—კვირაობით დილას.
ბ) სოხუმიდამ:
ფოთს—
ოდესას—
გ) ბაქოდამ:
ასტრახნისკენ—სამშ. ხუთშ. დილ.
ასტრაბადისკენ—კვირა შუაღამეს.

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნახს | - | 50 |
| როსტოვს ოდესას მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . | 3 | — |
| სპარსეთში . . . . . . | 5 | 76 |
| ოსპალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . | 4 | — |

**ფოშტა**

ა) თფილისიდამ:
ყოველგან — პარასკევობით. ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ამას გარდა ოზურგეთს — ორშაბ. ბაქოს — სამშაფ., განჯას — ოთხშაბათს (შუადღემდი).
ბ) ქუთაისიდამ:
ყოველგან—ორშაფ. ამას გარდა თფილისს და რუსეთს — ოთხშაბ. და პარასკ. ფოთს და სოხუმს — ხუთშაბ. და შაბათ. (საღამომდი.)
გ) გორიდამ.
ყოველგან—ორშაბ. ოთხშაბ. და პარასკეობით (საღამოს შვიდ საათამდე.)
დ) ფოთიდამ:
ყოველგან—ყოველ დღე.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 5 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 10 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 8 მაისს | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში $33^{1}/_{32}$ პენსი. | — | 83 |
| პარიჟში $347^{1}/_{4}$ სანტიმი. | — | 87 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | 6 | — |
| ბანკის ბილეთი 5% | 97 | — |
| მოგებიანი (პირველისესხი) | 170 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 166 | 50 |
| გირაოს ფურცლები: | | |
| ხერსონის ბანკის ($5^{1}/_{2}$) | 86 | 25 |
| მოსკოვის (5%). . . | 87 | 50 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის. | 274 | — |
| ფოთი-თფილ. რკინ. გზის | 130 | — |
| შავიზღვის ცეცხ. გემების | 516 | — |
| კავკაზის და მერკურის. . | 180 | — |
| პირვ უზრუნვ. მყოფი საზ. | 645 | — |
| პეტერბ. უზრ. მყოფი საზ. | 260 | — |
| მოსკოვისუზრ. მყოფი საზ. | 260 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 24 მაისს | | |
| პური განჯისა . . . | 1 | 45 |
| ქერი. . . . . . . | — | 70 |
| ბამბა ერევნისა . . . | 4 | 20 |
| —ამერიკისა . . . . | 5 | 85 |
| გაპენტილი ბამბა . . | 8 | — |
| მატყლი თუშური . . . | 7 | — |
| —თარაქამისა. . . . | 4 | — |
| აბრეშუმი . . . . . | 7 | — |
| ქონი . . . . . . . | 4 | — |
| ქონის სანთელი . . . | 6 | — |
| სტეარინის სანთელი . . | 10 | 90 |
| ხორცი ძროხისა . . . | — | 90 |
| —ცხვრისა . . . . . | 1 | 8 |
| სპირტი . . . . . . | 8 | — |
| შაქარი კარგი . . . . | 8 | 40 |
| —ფხვნილი . . . . . | 6 | 70 |
| ყავა გრგვალი . . . . | 20 | — |
| ზეთი ქუნჯუთისა. . . | 7 | — |
| ოქრო ნახევარი იმპერიალი. | 5 | 97 |

**განცხადებები**

— დიდის თავადის ნამესტნიკის ნებართვით კავკასის პრიკაზში დანიშნულია ამ წლის 28 აგვისტოს ხელ-მეორედ ვაჭრობა ქვის სახლების გასასყიდად. ერთზედ 350 მ. ვალია, მეორეზედ—400 მ. და მესამეზედ—400 მ. ამავე დღეს ისყიდება ს. ავჭალას მდებარე მამული, 4500 მანეთში დაგირავებული. („კავკაზი“ № 58)

— 26 ივლისს პრიკაზი ჰყიდის მეორე სახლს 600 მანეთის ვალში.

— ამ წლის 19 აგვისტოს ხელმეორე ვაჭრობაა პრიკაზში. ისყიდება სახლი 29,500 მ. ვალში. (ეს განცხადებანი იხილე „კავკაზის“ № 55-ში)

დაფასებითი სიები ნახეთ კავკასის პრიკაზში.